პროდუქციის თვითღირებულება ტოლია რეალიზაციიდან ამოღებული თანხა გაყოფილი დანახარჯებზე. მოგება ტოლია რეალიზაციიდან ამოღებული თანხას გამოკლებული დანახარჯები. რენტაბელობის დონე ტოლია მოგება გაყოფილი დანახარჯებზე და გამრავლებული 100-ზე.

როგორც ცხრილიდან ჩანს იონჯას მოყვანა სამტრედიის რაიონში რენტაბელურია.

ჩვენს მიერ ორი წლის განმავლობაში ჩატარებული ცდების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ:

სამტრედიის რაიონში იონჯას მოყვანისათვის ხელსაყრელი ნიადაგურ - კლიმატური პირობები არსებობს.

იონჯას თესვა სამტრედიის რაიონში იაფი ადგილობრივი საკვების მიღების საფუძველია, რაც მტკიცდება ცდის ეკონომიკური მაჩვენებლებით. მოგება თესვის ვადების მი-

ხედვით მერყეობს 2430-4530 ლარის ფარგლებში. რენტაბელობის დონე კი 135%- დან-251,6%-ის ფარგლებში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ იონჯას ექსპლოატაცია 3-4 წელია, საკვები ელემენტების დაგროვების ინტენსიობა კიდევ უფრო გაიზრდება და ალუვიური ნიადაგები მაღალნაყოფიერი გახდება, რაც მოგვცემს საშუალებას იგი გამოვიყენოთ ნებისმიერი მრავალწლიანი კულტურისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ა. ჩაფიჩაძე, მ. ყუბანეიშვილი - „მემცენარეობა“, აწსუ-ს გამომცემლობა, ქუთაისი, 2011წ.
- 2.ნ. ანდრეევი- „მდელოს და მიწდვრის საკვებწარმოება“ განათლება, თბილისი, 1982 წ
- 3.Ю. Ковалёв- „Основы ведения фермерского хозяйства“ - Москва 2004.
4. <http://agrokavkaz.ge/dargebi/memcenareoba/ionja-medicago-ionjas-moqhvana-damnishvneloba-phermeristhvis.html>

The Yield of Lucerne According to a Timeline in Conditions of Samtredia Municipality

Maka Kubaneishvili

Assoc. Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi Georgia

Nunu Chachkhiani- Anasashvili

Assoc. Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi Georgia

Abstract

Keywords: Alfalfa, hay, mowing, yield.

The main source of getting cheap livestock products is the creation of a base of a local food. Generally, imported products are expensive, which increases the cost of products and consequently, the price of gained products.

Yellow Alfalfa is one of the ways of solution, it is compatible with the climatic conditions of Samtredia municipality and would give a high yield in 3-4 years. Yellow alfalfa is winter and drought-resistant that endures the dryness of the soil. Callus bacteria inhabited on a root system produce a fixation of atmospheric nitrogen and transferring in a form that is adaptable for a plant.

The experiment was conducted in the village of Ianeti, Samtredia municipality.

Fall and Spring sowing intervals/timelines were tested. The test covered (According to the timeline) 8 variants with 4-4 repetitions (Parts). The area of a sub-unit was 50m².

The demonstration area covered 8 x 4 x 50 = 1600m². The fall term - 5 x 4 x 50 = 1000m². The spring term - 3 x 4 x 50 = 600 m².

Alfalfa grows very slowly after springing up, it is oppressed by weeds, therefore the crop is sparse, The demonstration area was cleaned from weeds. Deep plowing of the soil was carried out. The soil with harrowed before sowing. Phosphorus P300 and K150 were carried in before tillage.

Feeding was performed with ammonium nitrate after each mowing. The crop was harrowing after fertilizing.

The data about the crop was recorded according to divisions and pruning. Mowing took place 3 times. The average (Two-year) fall and spring alfalfa yield (According to sowing dates) was calculated. The data is given in Table N 1.

Table:N1

**The Quantity of Fall and Spring Alfalfa Yield According to Timeline
(Two years, average)**

N	Sowing period	The quantity of Alfalfa raw material on variants		The quality of Alfalfa dry material on variants	
		kg	Unit/ha	kg	Unit/ha
1	15.09	1834,2	917,2	367,9	183,9
2.	30.09	1762,5	881	353,5	176,7
3	15.10	1990,2	995	398,1	199
4.	30.10	2082,5	1041	411,5	205,7
5.	15.11	2108	1054	421,6	210,7
6.	15.03	1738	868,5	347,5	173,7
7.	30.03	1423	690	282	141
8.	15.05	914,7	711	283,9	141,9

The average of fall sowing dates (Two -year) is higher compared to a spring data, which can be explained by the fact that the spring sowing dates in the first year in comparison with fall sowing dates were lower.

The economic indicators of the experiment were calculated. See. Table N 2

There is calculated the selling price of 1 unit of hay: the cost after realization, the expenses per 1 ha, the cost of production, the profit, and the level of profitability.

The selling price of 1 kg. hay is 30 tetri, 30 Gel per 1 unit, the amount got from the sale is equal to the value of one unit multiplied to the quantity of the yield.

Costs include the cost of seed material, soil plowing, mulching, sowing, fertilizing, mowing, and other activities.

The cost of production is equal to the quantity gained after realization and subdivided into expenses. Profit is equal to the gained cost after realization and minus expenses. The level of profitability is equal to the profit divided by expenses and multiplied by 100.

The following can be concluded based on two -year experiment:

There are favorable soil-climatic conditions for growing alfalfa in Samtredia municipality.

Alfalfa sowing is the basis of gaining a cheap local food in Samtredia municipality, which is confirmed by the economic indicators of the experiment. Profit varies from 2430 to 4530 GEL according to the sowing dates. The profitability level is from 135% to -251.6%.

The exploitation period of Alfalfa is 3-4 years, the intensity of nutrient accumulation will increase even more and the alluvial soils will be highly fertile, which will be useful for any perennial cr

Table N2**Economic Indicators of the Experiment**

N	Sowing period	The quantity of Yield	Product selling price in units in Gel	The cost after selling in Gel	The expenses on 1 ha in Gel	Product cost in Gel	Profit in Gel	% of Profitability level
1	15.09	184	30	5520	1800	3,0	3720	206
2.	30.09	177	30	5310	1800	2,95	3510	195
3	15.10	199	30	5970	1800	3,31	4170	231,6
4.	30.10	206	30	6180	1800	3,43	4380	243,3
5.	15.11	211	30	6330	1800	3,51	4530	251,6
6.	15.03	174	30	5220	1800	2,9	3420	290
7.	30.03	141	30	4230	1800	2,35	2430	135
8.	15.05	141,9	30	4257	1800	2,36	2457	136,5

საკვებად გამოსაყენებელი ნაყოფსხეულა სოკოები ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში

ნინო ხონელიძე

მეცნიერ თანამშრომელი, ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, ქუთაისი, საქართველო

ნუნუ დიაკონიძე

მეცნიერ თანამშრომელი, ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, ქუთაისი, საქართველო

სტატიაში მოცემულია ქუთაისის ბოტანიკურ ბაღსა და მის შემოგარენში ბუნებრივად გავრცელებული საკვებად გამოსაყენებელი და ნაყოფსხეულა სოკოების ოჯახები, სახეობები. გვხვდებიან სოკოების ისეთი სახეობები, რომლებიც მარტო ზაფხულზე და მარტო შემოდგომაზეა. მცირე რაოდენობით არის ისეთი სოკოები, რომლების ამ რეგიონისათვის არ არის დამახასიათებელი, ვხადმოყოლილი ანუ ადვენტური. სოკოებს შორის იშვიათია ენდემები.

საკვანძო სიტყვები: სოკო, ნაყოფსხეულა, საკვები, ადვენტური.

უძველესი დროიდან სოკოები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადამიანის კვებაში. სოკო ცოცხალი სამყაროს ცალკე სამეფოს წარმოადგენს. მას ახასიათებს როგორც მცენარეთა, ასევე ცხოველთა თვისებები. მცენარეებისგან განსხვავებით, მას არ შეუძლია გამოიმუშავოს თავისი საკვები და სხვა ცოცხალ (ან მკვდარ) ორგანიზმებზე დამოკიდებული.

სოკოები ჩვენს პლანეტაზე მრავლადაა გავრცელებული. თითქმის ყველგან გვხვდება ტყეებში, მინდვრებში, მდინარის პირებზე. საქართველოში სოკოების მრავალი სახეობაა აღრიცხული. მათგან დაახლოებით 250-საკვებად გამოსაყენებელია, 30-შხამიანი. მოსახლეობა ძირითადად 40 სახეობის სოკოს იყენებს. საკვები სოკოები დასავლეთ საქართველოში რაოდენობრივად გაცილებით მეტია, ვიდრე აღმოსავლეთში.

ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში აღრიცხულია საკვებად გამოსაყენებელი ნაყოფსხეულა და ქუდიანი სოკოების 12 ბოტანიკური ოჯახი 37 გვარითა და სახეობით. ნაყოფსხეულა და სამკურნალო სოკოები - 7 ოჯახი, 7 გვარი. შხამიანი სოკოები 3 ოჯახითა და 6 გვარით, საკვები სოკოების შხამიანი ორეულეები 6 გვარია.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქუთაისის ბოტანიკური ბაღის, ბუნებრივად მოზარდი, (ველურ) ბალახოვან ფლორაში გავრცელებული, მცენარეებთან ერთად საკვებად გამოსაყენებელი ნაყოფსხეულა სოკოების შესწავლა. ნაყოფსხეულა სოკოები 7 ბოტანიკური ოჯახია: Agaricaceae Chevall, Centhrellaceae J.Schrot. Fistulinaceae L., Fomitopsidaceae J., Mozchellaceae R., Pleurataceae Kuhner., Polliporaceae Fr.ex Corda.

7 სახეობა: *Fistulina hepatica* (schaeff)Wich. ღვინო სოკო, *Morchella esculanta* (L.) Pars. ხარისფაშვა, ირმის ტუჩა. *Pleurotus ostreatus* (Jacq).P.Kumm. ხეთამხალი, კალმახა *Ceroiaporus squamosum* (Huds.) Quel. ძერანა. *Centarellus ciberus* Fr. მიქლიო, ქათამბარკალა და სხვა.

საკვებად გამოსაყენებელ ნაყოფსხეულა სოკოებში სხვა მცენარეულ პროდუქტებზე (მაგ. ბოსტნეულზე) მეტი ცილოვანი ნივთიერებებია და ცხოველური წარმოშობის საკვებ პროდუქტებსაც უახლოვდება. ცილის მაღალი შემცველობით გამოირჩევა: ძერანა, ღვიძლა, მიქლიო. კალმახა და სხვა.

ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში გავრცელებული საკვებად გამოსაყენებელი ნაყოფსხეულა სოკოების მოკლე დახასიათება:



ოჯახი. Pleurataceae Kuhner.

Pleurotus ostreatus Jacq. P.Kumm ხეთამხალი, კალმახა, ტყუბლა, წიფლის სოკო, ხის სოკო, (იმერ.). წიფლის-სოკო (გურ.კახ.) ხის სოკო, (კახ). წიფრაშ ტყუბულ (სვან.), კალმახა ზოკო (ფშაურ.), ჭყუბლა სოკო (რაჭ.).

ქული 5-18 სმ-მდე დიამეტრის, ნიჟარისებრი, მარაოსებრი ან ენისებრი, თავიდან გლუვი, შემდეგ წვრილ ქერცლიანი ზედაპირით მონაცრისფრო-კრემისფერი-მურა. ფირფიტები დაღმავალი მოთეთრო, ზოგჯერ მონაცისფრო ელფერით. ფეხი 1-4 სმ-მდე. სიგრძის და 0,5-2 სმ-მდე სისქის, ექსცენტრიული ან გვერდითი, ქეჩისებური ზედაპირით. რბილობი- მოთეთრო, სასიამოვნო სუნით და გემოთი. სპორები ცილინდრული ან მოგრძო-ელიფსური, გლუვი, მოთეთრო ღია კრემისფერი ან უფერული, 7-11 X 3-4 მკმ, იზრდება ჯგუფურად, გამხმარ დამჰალ ფოთლოვან წიწვოვან ხეებზე, განსაკუთრებით თელასა და წიფელზე, ზაფხულ - შემოდგომით. გავრცელებულია მთელს საქართველოში. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში შეგროვდა ხეტიტაზე, ტირიფზე და ვერხზე. ერთ-ერთი საუკეთესო საკვებ სოკოდ ითვლება, ახალი და დამუჟუჭებული. ნაყოფსხეულა სოკოებიდან მისი მოყვანა შესაძლებელი არის დახურულ გრუნტში, ამისათვის საჭიროა სოკოს ვეგეტატიური სხეულის (შედგება წვრილი, ერთმანეთში გადახლართული ძაფებისგან ე.წ. ჰიფებისაგან) შეყვანა შესაფერის საკვებ არეში.



ოჯახი Polyporaceae.Fr.ex Corda.

Cerioporus squamosus (Huds.) Quel. სოკო (კახ.) მძერა (ლექ), ქორო ზოკო (მთიულ-გუდამაყრული ფშ). ძერიკა (რაჭ.). ძერო (სვან.)

ნაყოფსხეული - თავიდან ძაბრისებრი, შემდეგ მარაოსებრი - 40 სმ-მდე. თავდაპირველად ხორცოვანი, ჩალისფერი. ზემოდან დაფარული მოყავისფრო კონცენტრულად განწყობილი ქერცლებით, ქვემოდან ჰიმენოფორი მილნაირია. მილები დაღმავალი, მსხვილი, კუთხოვანი ფორებით, თავიდან თეთრი, შემდეგ მოყვითალო. ფეხი-მოკლე 2-6,5 სმ-მდე სიგრძის და 1-3,5 სმ-მდე სისქის, ძირითადად გვერდული, იშვიათად ცენტრალური, ძირში გაგანიერებული, ჩალისფერი, ძირში მურა, ზადისებრი ორნამენტით. რბილობი თეთრი, თავიდან წვნიანი, ხორცოვანი, შემდეგ მაგარი-კორპისებრი, ფქვილის სუნით. სპორები - წაგრძელებულ - ელიფსური, გლუვი, თეთრი, 10-14 X 4-5 მკმ. იზრდება სხვადასხვა ფოთლოვან ხეებზე მთელ სავგეტაციო პერიოდში. განსაკუთრებით წიფელზე და წაბლზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. საკვებად გამოიყენება ნორჩობაში ნედლი, გემრიელ სოკოდ ითვლება. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში ადვენტურია, ჩვენს მიერ შეგროვდა წიფელზე, რცხილაზე და მუხაზე.



ოჯახი Centhrellaceae J.Schrot.

Centarellus ciberus Fr. მიქლიო. ქათამზარკალა (იმერ). ქათამზარკალა, ქათმიზარკალა (რაჭ.), ქათამ ბარკალა (ზემ.იმერ.), მიქლო (იმერ.), მელაკუდა (გურ.), ჭერამულა, ჭერამა (კახ), ქათამზარკალა (თუშ), ქათმისქონა (სვ).

ნაყოფსხეული-ძაბრისებრი, 5-12 სმ-მდე სიმაღლის, ქუდი 4-10 სმ-მდე დიამეტრის, ღია ყვითელიდან კვერცხისგულისფერამდე, ხორცოვანი, მკვრივი, თავიდან ამო-

ბურცული, შემდეგ ძაბრისებრი ჩაჭყეტილი, კიდეები შეკეცილი, ზედაპირი გლუვი, ქუდი პირდაპირ გადადის ეგრეთ წოდებულ ფეხში, მათ შორის მკაფიო, საზღვარი არ შეინიშნება. ფეხი 4-7 სმ-მდე სიგრძისა და 1-4 სმ-მდე სისქის, მკვრივი, გლუვი, ზემოთ განიერი, ქვემოთ წვრილი. ჰიმონოფორი ქუდი ქვევიდან დაფარულია ქუდის ფერი, სქელი, მეჩხერი, ფეხისკენ დაღრმავებული, ჩანგლისებურად განშტოებული ძარღვებით. რბილობი ხორცოვანი, ჯერ მოყვითალო, შემდეგ მოთეთრო, გემო ოდნავ ცხარე, სასიამოვნო სუნით. სპორები-ელიფსური, გლუვი, ცხიმოვანი წვეთებით, მკრთალი ყვითლიდან კრემისფერ-თეთრამდე, ზოგჯერ ოდნავ მოვარდისფერო ელფერით, 7-10 X 4-6 მკმ. იზრდება ზაფხულსა და შემოდგომაზე წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, ხავსიან და ტენიან ადგილებში, ხშირად ჯგუფურად. გავრცელებულია მთელს საქართველოში. ერთ-ერთი საუკეთესო გემრიელი სოკოა, საკვებად მიირთმევენ ახალს, შემწვარს ან დამუჟუქებულს. მას ზამთრისთვისაც ინახავენ მზეზე გამხმარს. აქვს სამკურნალო თვისებები და იყენებენ ფარმაციაში.



ოჯახი: *Fistulinaceae* Lotsy.

Fistulina hepatica (schaeff) Wic ღვიძლა სოკო (იმერ.), ხორცა სოკო, ხბოს ხორცა (რჭ.).

ნაყოფსხეული-მომრგვალო ენისებური, ხორციანი, 8-25 სმ დიამეტრის და 2-6 სმ სისქის, რომელიც გადადის მოკლე გვერდით ფეხში, ახალგაზრდა სოკო ზედა სტრუქტურით გავს ხბოს ენას, ხვერდოვანი ოდნავ წებოვანი, მოწითალო ხორცისფერი, ხოლო შემდეგ ხდება მუქი ყავისფერი, პრიალა და მშრალი. ფეხი-მოკლე, გვერდითი, მურა წითელი, ძირში მუქი ბუსუსებით. რბილობი-სისხლის ფერი, თეთრი, მკვრივი ძარღვისებრი ჩანართებით. წააგავს ახალ ხორცს ან ღვიძლს. შეიცავს დიდი რაოდენობით წითელ წვენს. სპორები -კვერცხისებური, გლუვი ღია ყვითელი, 4.5-6X3-4 მკმ. გვხვდება ზაფხულზე და შემოდგომაზე. გავრცელებულია მთელს საქართველოში. ძირითადად იზრდება მუხაზე და წაბლზე, ზოგჯერ წიფელზე. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში იზრდება ჰართვისისა და იმერულ მუხებზე. საკვებად გამოიყენება ნორჩობაში, ნედლი, მოხარშული ან შემწვარი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ნახუცრიშვილი. (2007) საქართველოს სოკოები. თბილისი: ბუნება პრინტი.
2. ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი: მცენარეთა სახელწოდებანი. საქ. მეცნ. აკად. ნ.

- კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინ-ტი. – მე-3 გამოცემა. თბილისი: (1991) მეცნიერება.
3. ი. ნახუცრიშვილი, ქ. ყანჩაველი, და სხვ. საქართველოს სპოროვან მცენარეთა ფლორა (კონსპექტი). საქ. სსრ მეცნ. აკად. ნ. კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტი. – თბილისი: (1986) მეცნიერება (რუსულად).
4. ლ. ასიეშვილი, ვ. პეტროვი, ტ. ჩერქეზიშვილი „ჩვენი ღირსებანი“ წიგნი 3. საქართველო. თბილისი 2015 წ.
5. ნ. მინდაძე „ჩვენი ღირსებანი“ წიგნი 9. საქართველო. თბილისი 2016 წ.
6. ნ. ხონელიძე ნ. დიაკონიძე გ. თოქმაჯიშვილი- პირველი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ახალი ინიციატივები“. შრომები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამომცემლობა. ქუთაისი 2019 წ.
7. Я. Клана “Гриби” Артия, Прага. 1984 г.

Eatable Fruit body Fungi in Kutaisi Botanical Garden

Nino Khonelidze

Researcher/Scientific-scholar, Kutaisi Botanical Garden, Kutaisi, Georgia

Nunu Diakonidze

Researcher/Scientific-scholar, Kutaisi Botanical Garden, Kutaisi, Georgia

Abstract

Keywords: Fungi, Fruit body, Food, Adventive

The work represents bio-ecological peculiarities of fruit body fungi that grow in Kutaisi Botanical garden and its surroundings and is used for food. The monitoring was carried out and according to it, typical structure of botanical families of fruit body fungi spread in the garden was identified. There are such species of fungi that grow only in summer and autumn, but there are some, which are not typical for this region, thus they are adventive. Endemics are rare among fungi.

There are different species of fungi in Georgia, among them about 250 are used for food, and 30 are poisonous. Population uses only 40 types of fungi. Eatable fungi are much more in the West of Georgia than in the East.

Twelve botanical families with 37 genus and types of fruit body and hooded fungi have been identified in Kutaisi Botanical Garden. Seven families and genus of fruit body and medicinal fungi; poisonous fungi with three families and six genus, six genus of eatable fungi double.

The aim of our research was to study eatable fruit body fungi naturally spread and grown together with herbaceous plants in Kutaisi botanical garden. There are seven botanical families of fruit body fungi: Agaricaceae Chevall, Centhrellaceae J.Schrot. Fistulinaceae Lotsy. Fomitopsidaceae Julich, Mozchellaceae Rchb, Pleurataceae Kuhner. Polliporaceae Fr. ex Corda. The following seven species are: *Fistulina hepatica* (schaeff) Wich., *Morchella esculanta* (L). Pars. *Pleurotus ostreatus* (Jacq).P.Kumm. *Ceroiopus squamosum* (Huds.) Quel. *Centarellus ciberus* Fr.

Protein matter in Eatable fruit body fungi is more than in other products (as vegetables) and

is closer to food of animal origin. Fungi of high protein are *Ceroioporus squamosum* (Huds.) Quel. *Centarellus ciberus* Fr. *Fistulina hepatica* (schaeff) Wich. *Pleurotus ostreatus*. Collection of assortment of eatable fruit body fungi differs according to the regions. Eatable fruit body fungi differ from each other by calories and protein. Fruit body fungi is extremely useful if we select them correctly.

In Kutaisi Botanical Garden there are some fruit body fungi that are not typical for this region, they are: *Ceroioporus squamosum* (Huds.) Quel, which is adventive.

გრეიპფრუტის სელექციისათვის საჭირო საწყისი მასალის გენოფონდის შევსება-გამდიდრება შორეული ჰიბრიდიზაციისა და პოლიემბრიონიის გამოყენებით

ნინო ყიფიანი

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ჯულიეტა სანიკიძე

ემერეტუსი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია მასალები, რომლებიც ასახავენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიმართულება-ციტრუსოვან მცენარეთა გენეტიკისა და სელექციის საკოლექციო ნაკვეთებზე გაშენებული გრეიპფრუტ დუნკანის სელექციისათვის საჭირო საწყისი მასალის შევსება-გამდიდრების საკითხს შორეული ჰიბრიდიზაციისა და პოლიემბრიონიის გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: გრეიპფრუტ დუნკანი, შორეული ჰიბრიდიზაცია, პოლიემბრიონია, სქესობრივი და ნუცელარული ნათესარები.

როგორც ცნობილია, გრეიპფრუტი სხვა ციტრუსოვნებს შორის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. კლინიკურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ გრეიპფრუტის ნაყოფები ფართოდ გამოიყენება მედიცინაში. მსოფლიო წარმოებაში მათი სწრაფი გავრცელება გამოწვეულია ნაყოფის განსაკუთრებული სამკურნალო და საკვები ღირებულებებით კერძოდ, შაქრებისა და ვიტამინების გარდა შეიცავენ ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებელ კალციუმის მარილებს, რკინას, ფოსფორს, და სხვ. რომლებიც არეგულირებენ ნივთიერებათა ცვლას და აუმჯობესებენ საჭმლის მონელების პროცესებს. გრეიპფრუტის წვენი ფლობს სისხლძარღვების გამაგრების მკვეთრად გამოხატულ თვისებას. ის იყიდება გერმანიაში აფთიაქებში, ხოლო ამერიკაში შედის ჯარისკაცის აუცილებელ რაციონში. ნაყოფი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს კაროტინს, ნარინგინს, რის გამოც ის მედიცინაში წარმატებით გამოიყენება. მაღალი საკვები და სამკურნალო თვისებებით ხასიათდება ნაყოფის კანიც რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს პექტინოვან ნივთიერებებს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრში ინტენსიურად მიმდინარეობს ექსპერიმენტული ცდები ციტრუსოვან მცენარეთა გენეტიკისა და სელექციის ხაზით, კერძოდ, სხვა ციტრუსოვან მცენარებთან ერთად მეტად საინტერესოა გრეიპფრუტ დუნკანის სელექციაში ჩატარებული კვლევითი სამუშაოები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მუშაობის გან-

ხორციელებისათვის აუცილებელი იყო თავდაპირველად სელექციისათვის საწყისი მასალის არსებული გენოფონდის შევსება გამდიდრება. საკვლევ ობიექტებს უპირველესად წარმოადგენდნენ შეჯვარების კომბინაციაში მონაწილე დედა მცენარეებიდან გრეიპფრუტ დუნკანის ვარდისფერი და წითელი რბილობის ნაყოფების მქონე მცენარეები, ხოლო კომბინაციაში ჩართული მამა მცენარეებიდან გამოყენებული იქნა პონციურს ტრიფოლიატის ადრემწიფადი ფორმა და ციტრუს იჩანგენზისი. შემდგომში წარმატებული სელექციური მუშაობისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა საწყისი მასალების მოძიება და მათი გამოყენება სამეცნიერო-კვლევის პროცესში სხვადასხვა შედეგების მისაღებად. როგორც ცნობილია, ერთ-ერთი აქტუალურ პრობლემას ციტრუსოვანთა სელექციაში წარმოადგენს ყინვაგამძლეობის ამაღლება, ამ ამოცანის გადაწყვეტაში კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება სელექციის კლასიკური მეთოდის - შორეული ჰიბრიდიზაციის გამოყენებას. იგი ამ მხრივ სელექციის სხვა მეთოდებს შორის ყველაზე ეფექტური მეთოდია. სწორედ ამ დროს წარმოქმნილი ფორმათა მრავალფეროვნების სპექტრი ისეთი მრავალფეროვანია, რომ მათში შემავალი მცენარეები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და თითოეული მათგანი შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ როგორც საწყისი მასალა გრეიპფრუტის შემდგომი სელექციური მუშაობისათვის.

შორეული ჰიბრიდიზაციისას გრეიპფრუტ დუნკანის სქესობრივ და ნუცელარულ ნათესარებს ვსწავლობდით გენეტიკურად აღმოცენების მომენტიდან ერთი სავეგეტაციო პერიოდის ბოლომდე. სქესობრივი ჰიბრიდული ნათესარების გამოყოფა ნუცელარული ნათესარებიდან საკმაოდ მარტივია, რადგანაც შეჯვარების კომბინაციაში ჩართულ მშობელთა წყვილები ფენოტიპური ნიშნებით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, სახელდობრ, ფორმითა და სიდიდით, ყუნწზე ფრთიანობით, ახალგაზრდა ყლორტების შეფერილობით, ბუსუსიანობით და სხვა მაჩვენებლებით. აღნიშნული ნიშნები მართალია ფენოტიპურია მაგრამ ამავე დროს შეიძლება ისინი თაობაზე გადაეცეს მემკვიდრეობით, ე.ი. მემკვიდრულია. სწორედ ამ ნიშნების მიხედვით ნათესარებს ვადარებდით მშობელთა წყვილებს. იმის გამო, რომ ციტრუსების შორეულ ჰიბრიდებში თითქმის ყოველთვის დომინირებს ყინვაგამძლე მამის ნიშნები, მცენარეები რომლებიც მკვეთრად ატარებენ მამის ნიშნებს ჩავთვალეთ სქესობრივ ჰიბრიდებად და გამოვყავით ცალკე. (სურ.1. სურ.2)



სურათი 1

გრეიპფრუტის ჰიბრიდული ნათესარები



სურათი 2

გრეიპფრუტის ნუცელარული ნათესარები

დანარჩენი ნუცელარული წარმოშობის ნათესარები დავყავით ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს მივაკუთვნეთ მცენარეები, რომლებიც გარეგნული ნიშანთვისებებით ემსაგვსებოდნენ დედად ალებულ მცენარე გრეიპფრუტ დუნკანს. მეორე ჯგუფში კი გავაერთიენეთ ის ნათესარები, რომლებიც ატარებენ მამად ალებული მცენარეების ოდნავ შესამჩნევ მორფოლოგიურ ნიშნებს. (იხ. ცხრილი 1.)

ასეთი შესწავლის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მამა გამანაყოფიერებელი ერთნაირად არ ახდენს გავლენას ნუცელარული წარმოშობის უჯრედებსა და ჩანასახებზე. სახელოდობრ, გრეიპფრუტის იჩანგენზისთან შეჯვარების შედეგად მიღებული ჰიბრიდული ბუნების ნუცელარული ნათესარების წარმოქმნის შესაძლებლობა უფრო დიდია და იგი ჩვენს შემთხვევაში შეადგენს 15,7%-ს, რაც შეეხება კომბინაციაში ჩართული მამა მცენარე ადრემწიფად ტრიფოლიატას, იგი ნუცელარულ უჯრედებზე და შესაბამისად ჩანასახებზე მოქმედებს შედარებით სუტად-4,6%.

გრეიპფრუტ დუნკანის სქესობრივ და ნუცელარულ ნათესარების მიღების შედეგები შორეული ჰიბრიდიზაციისას

ცხრილი 1

#	კომბინაციის დასახელება	ნუცელარული ნათესარების რაოდენობა	მათ შორის	
			პირველი ჯგუფის ნუცელარული ნათესარები %- ში	მეორე ჯგუფის ნუცელარული ნათესარები %- ში
1	გრეიპფრუტ დუნკანი X პონცირუს ტრიფოლიატის ადრემწიფადი ფორმა	45	95.5	4.6
2	გრეიპფრუტ დუნკანი X	54	8.3	15.7

	ციტრუს იჩანგენზი- სი.			
--	--------------------------	--	--	--

დასკვნა. ამგვარად, შორეული ჰიბრიდიზაციის შედეგად ნუცელარული უჯრედებიდან წარმოშობილი ნათესების ნაწილი, რომლებიც ოდნავ ატარებენ მამად აღებული მცენარის ნიშან-თვისებებს და ძლიერ უახლოვდებიან დედა მცენარეს ჰიბრიდული ბუნებისაა. ამდენად ჰიბრიდული ბუნების ნუცელარულ ნათესარებში დომინირებს დედა მცენარის გრეიპფრუტ დუნკანის ნიშან-თვისებები, ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შესამჩნევად განსხვავდებიან მისგან. ნუცელარული წარმოშობის ჰიბრიდები გრეიპფრუტ დუნკანისგან განსხვავებით ხასიათდებიან შედარებით სუსტი ზრდით და ხანმოკლე სავეგეტაციო პერიოდით, შედარებით მეტი ყინვაგამძლეობითა და ნაყოფების ადრე მწიფადობით. სწორედ ასეთი ჰიბრიდული ბუნების მცენარეები შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც საწყისი მასალა შემდგომი სელექციური მუშაობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Мампория Ф. Селекция субтропических растений. Учебник. Издательство –Ганатлеба-Тбилиси 1975. 29-122 с, 319-340 с
2. Тутберидзе Б. Д. Каландаришвили Т.Л. Отдаленная гибридизация померанцевых. Учебник. Издательство Батуми. 1990.17-38с;
3. Nino Kipiani. The Emergence of Hybrid Seeds and Polyembryony in Some Citrus Cultigens'' JLS „Journal of Life Sciences''. Volume 8, Number 7, July ISSN 1934-7391 (Print) ISSN 1934-7405 (Online) David Publishing company. www. davidpublishing.com. Impact Factor New York, NY 10034, USA (Aims and Scope) 2014.603-604 P.
4. გ.გეწამე, ჯ.სანიკიძე, რ.კოპალიანი, ტ.ჯობავა, ვ.ქობალია, ნ. ყიფიანი. „ციტრუსოვანთა ყინვაგამძლეობის პრობლემა და მისი გადაჭრა შორეული ჰიბრიდიზაციის მეთოდის გამოყენებით“. „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია“ სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია 2013წ.გვ.301-305.
5. გ. გეწამე, ჯ. სანიკიძე, რ. კოპალიანი, ტ. ჯობავა, ვ. ქობალია, ნ. ყიფიანი. „ციტრუსოვანთა ყინვაგამძლეობის ამალღების მეთოდისა შორეული ჰიბრიდიზაციის გამოყენებით“ (დამხმარე სახელმძღვანელო). 2013, გვ.1-14
6. სანიკიძე ჯ, ყიფიანი ნ. „ციტრუსოვანთა კულტივენებში შორეული ჰიბრიდიზაციის შედეგად მიღებული თესლნერგების F₁ თაობის გენეტიკური ანალიზი“. ბოტანიკური ბაღების მნიშვნელობა მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნებაში. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ქ. ბათუმი. საქართველო 2013წ. გვ.303-305
7. Кипиани Нино Давидовна 1, Саникидзе Джульетта Давидовна 2 „Новости в селекции грейпфрута''. Электронный научный журнал «Аэкономика: экономика и сельское хозяйство» (ISSN: 2500-0861) включен в РИНЦ, ЦНСХБ, КиберЛенинку. Данные выгружаются в БД: Google Scholar, OCLC WorldCat, EBSCO, ROAR, BASE, OpenAIRE, RePEc.
/ 02.03.2018г Источник: <http://aeconomy.ru/science/agro/novosti-v-selektcii-greypfruta/>

Enrichment of the Gene Fund of Initial Resources Required for Grapefruit Selection Using Distant Hybridization and Polyembryony

Nino Kipiani

Academic Doctor of Agricultural Sciences, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Julieta Sanikidze

Emeritus, Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Keywords: Grapefruit Duncan, Distant Hybridization, Polyembryonia, Gender Seedlings

The article deals with the data reflecting the enrichment of the gene fund of initial materials required for Grapefruit Duncan selection using distant hybridization and polyembryony, which are presented on demonstration areas of genetics and selection of citrus plants (Akaki Tsereteli State University, Scientific- Research Centre, Agrarian directions).

The experiments in the field of citrus plants' genetics and selection are being carried out intensively at Akaki Tsereteli State University, Scientific Research Center for Agrarian Directions. In particular, the most important is the research held in the selection of Grapefruit Duncan. The target objects are pink and red fruits of Grapefruit Duncan that participate in the crossbreeding combination from mother plants, while *Poncirus trifoliata* and *Citrus Ichangensis* are selected from father plants. One of the actual challenges in the selection of citrus fruits is increasing the resistance of frost, and therefore the classical method of selection - distant hybridization is of main importance.

While distant hybridization, gender and nucellar seedlings of Grapefruit Duncan are being studied from genetically emergence term to the end of one vegetation period. Separating gender hybrid seedlings from nucellar seedlings is fairly straightforward, as parent pairs involved in matching combinations differ in phenotypic traits, namely in shape and size, stalk wing, the color of young shoots, bot indumentum, and other indicators. The mentioned signs are phenotypic but at the same time, they can be inherited (It is hereditary). The seedlings were compared to parent pairs. Frost resistant father plants' signs are always dominant in distant citrus hybrids, the plants that bear sharp father signs are considered gender hybrids and are set out separately. The rest of the seedlings of nucellar origin were divided into two groups: the first group included plants that resembled the mother plant of Grapefruit Duncan. In the second group, there were combined the seedlings that bear morphological signs of father plants.

The data of a study shows that the father pollinator does not affect cells and embryos of nucellar origin alike. The possibility of obtaining nucellar seedlings of hybrid nature

gained by crossbreeding of grapefruit Ichangensis is greater and in this special case, it is 15.7%. As for the premature trifoliolate from the father plants, its impact on the nucellar cells and consequently on the embryo is weakly expressed, just by 4%.

Conclusion

The part of the seedlings obtained from the nucellar cells (Distant hybridization) slightly retains the signs of the father plant and is very close to the hybrid nature of the mother plant. The characteristics of mother plant grapefruit Duncan are dominant in nucellar properties of hybrid nature and they differ from each other. Hybrids of nucellar origin, unlike grapefruit Duncan, are characterized by relatively weak growth and a short vegetation period, relatively higher is frost resistance and early ripeness of the fruit. Such plants of hybrid nature can be used as the initial resources for further selective activities.

ნიადაგის გამაბინძურებლები და მისი გავლენა ადამიანთა ჯანმრთელობაზე

ცირა ჟორჟოლიანი

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ემზარ გორდაძე

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ინტენსიურ გავრცელებასთან ერთად მთელ რიგ პრობლემებს ქმნის: აბინძურებს ნიადაგებს ატმოსფერულ ჰაერს, ჰიდროსფეროს, რის გამოც საფრთხე ექმნება მათ სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას და ადამიანის ჯანმრთელობას.

საკვანძო სიტყვები: ნიადაგი, შხამ-ქიმიკატები, რადიაქტიური ნივთიერებები, ნარჩენები, კვებითი ჯაჭვები, დაავადებები.

ადამიანის უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე ხანგრძლივი პროცესია. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს პროცესი თანდათან შეუქცევადი გახდა, რამაც გამოიწვია მთელი ბიოსფეროს გაბინძურება, კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების შემცირება, საფრთხე შეექმნა ადამიანის ჯანმრთელობას. გარემოს უამრავ დამაბინძურებელთა შორის, რომლებიც ცვლიან ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიურ და ბიოლოგიურ თვისებებს არის შხამქიმიკატები, პესტიციდები, სასუქები, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, მძიმე მეტალები, რადიაქტიური ნივთიერებები და სხვ.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან გამოჩნდა მცენარეთა და ცხოველთა დაცვის ქიმიური საშუალებები პესტიციდები, რომელსაც მთელს მსოფლიოში იყენებენ. ისინი ბიოლოგიურად და ქიმიურად მაღალაქტიური ნივთიერებებია. გროვდებიან კვებითი ჯაჭვის სხვადასხვა რგოლში, საიდანაც ხვდებიან ადამიანის ორგანიზმში, აკუმულირდებიან (გროვდებიან) ცხიმოვან შრეში ასევე სხვადასხვა ორგანოში. ფართო დიაპაზონის მქონე პესტიციდები იწვევენ გარემოში არსებული ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას, პოპულაციების რაოდენობრივ და ხარისხობრივ ცვლილებებს. პესტიციდებისაგან ყოველწლიურად 10 ათასზე მეტი ადამიანი კვდება და 40 ათასი ადამიანი იწამლება. მაკონტროლებელი ორგანოების მიერ მკაცრი კონტროლის დაუცველობის გამო 400 ათასი პესტიციდიდან კონტროლს მხოლოდ 60 ექვემდებარება. ადამიანების ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიშია ქლორორგანული, ვერცხლისწყალ ორგანული და ფოსფორორგანული პესტიციდები. მეცნიერულად დადასტურებულია პესტიციდების კავშირი სიმსივნურ დაავადებებ-

თან, ტერატოგენურ ეფექტებთან უნაყოფობასთან, მეხსიერების დაქვეითებასთან, ფსიქიკური დეპრესიებთან ასევე დარღვევებთან, საკვების მომწოდებელ და სხვა ორგანოებში. საქართველოში ყოველწლიურად შემოდის 18-20 დასახელების 1500 ტ-ზე მეტი პესტიციდი.

ნაყოფიერების აღდგენისათვის ნიადაგში შეაქვთ სასუქები, რომლებიც 50-60 % და მეტად ადიდებენ მოსაღვიანობას. მოთხოვნილება სასუქებზე სულ უფრო იზრდება, მაგრამ მისმა მაღალმა დოზებმა შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები. ბიოგეოქიმიურ ციკლში, რასაც მნიშვნელოვანი ზარალი მოაქვს, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის. აზოტოვანი სასუქები ნიადაგიდან ხვდება წყალსატევებში და იწვევს წყალმცენარეთა ძლიერ ზრდას, რაც თევზებისა და სხვა ცხოველთა დაღუპვის მიზეზია ნიტრატები იწვევს მეთემოგლობინემიას ჩვილ ბავშვებში, ნიტროზამინები და ნიტროზადიები ძლიერი კანცეროგენებია.

ნიადაგებს აბინძურებს შხამქიმიკატები, ჰერბიციდები – სილვიციდები, რომლებსაც იყენებენ სარეველა მცენარეების წინააღმდეგო გამოყენებული, რომელთა წარმოება ყოველწლიურად მატულობს. მათგან ცნობილია პიკლორამი და კოკოდის მჟავა, რომლის ზეთოვანი აეროზოლები მცენარეებს აზიანებენ წვერიდან ფესვამდე. მათი გამოყენება საფრთხეს უქმნის ნიადაგის ეკოლოგიურ და ჰიგიენურ მდგომარეობას, ანადგურებს ცხოველთა სამყაროს, შეუძლიათ დააზიანონ ადამიანის ჯანმრთელობას.

ნიადაგებს აბინძურებს სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებიც ხშირად ბაქტერიების ვირუსებისა და ჰელმინთების კვერცხების შემცველია, რომლებიც მრავალ დაავადებათა გამომწვევებია. ისინი ამავე დროს შეიცავენ ძლიერ მომწამლავ ქიმიურ ნარჩენებსაც. ნარჩენების განთავსება და უტილიზაცია ნიადაგის სისუფთავისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხია, თუმცა ნარჩენების ბუნებრივი გზით დეგრადაცია (მინერალიზაცია) საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია.

ნიადაგების საშიში დამაბინძურებლებია რადიაქტიური ნივთიერებები, რომლებიც სხვადასხვა გზებით ხვდებიან ნიადაგში, ჰაერში წყლებში მათი მოხვედრა ორგანიზმში იწვევს როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ დროის მანძილზე ისეთ გამოვლინებებს როგორცაა სიმსივნეები, ლეიკემიები, გენეტიკური ტერატოგენური და სხვა ეფექტები.

საქართველოში ისე როგორც ზოგადად სხვა ქვეყნებში ნიადაგების დაბინძურების მრავალი წყარო არსებობს. თბილისი, რუსთავის, ზესტაფონის ბათუმის, ფოთის ნიადაგებში შეინიშნება ნავთობის, ტყვიის, სპილენძის, თუთიის, მანგანუმის, ნიკელის, ქლორის ნაერთები და ნარჩენები. პესტიციდებს და სასუქებს საქართველოში მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან ინტენსიურად იყენებდნენ. მაგრამ დღეს მისი მოხმარება წინ პერიოდთან შედარებით 40%-ით შემცირებულია, რაც აგრარული სექტორისდამი გლეხების ნაკლებმა ინტერესმა გამოიწვია. პრობლემაა ის რომ ვადაგასული და გამოუყენებელი სასუქები საწყობების გარეშეა და გარემოს აბინძურებენ, აღნიშნული მდგომარეობაა ზესტაფონის, წყალტუბოს, მარნეულის, გარდაბნის და სხვა სასოფლო-სამეურნო რაიონების სოფლებში.

სტიქიური ნაგავსაყრელები, რომლებიც გარემოს მნიშვნელოვანი გამაბინძურებელია რიგი ღონისძიებების გატარების მიუხედავად გვხვდება თბილისი, რუსთავის, ფოთის, გარდაბნისა და სხვა ტერიტორიების მახლობლად.

არასახარბილო მდგომარეობაა დარიშხანის საბადოების (სოფ. ცანი, ლუხუნის) მხრივაც, სადაც ნიადაგებსა და წყლებში მათ მაღალ კონცენტრაციაა, რის გამოც დიდია მოსახლეობაში გულ-სისხლძარღვთა, საკვების მომწელებელი, ნერვული სისტემის სიმსივნური და სხვა დაავადებები.

საქართველოს საგზაო მაგისტრალზე, ასევე დიდი ქალაქების ჰაერსა და ნიადაგებში მაღალია ტყვიის შემცველობა, რომლის ძირითადი წყაროა ავტოტრანსპორტი (გაუმართავი, მოძველებული და უხარისხო საწვავი), ასევე სამშენებლო სექტორია. UNCF –ის მონაცემებით გამოკვლეულ ბავშვთა 40%-ს აღმოაჩნდა სისხლში ტყვის ნორმაზე მეტი დოზა. ამ ბოლო წლებში იგი ასევე აღმოაჩნდა სანელებლებში და ხორცში. იგი იწვევს გონებრივ ჩამორჩენილობას. ინტელექტის დაქვეითებას, ფსიქიკურ გადახრებს, ზემოქმედებს რეპროდუქციულ და სხვა ორგანოებზე.

საქართველოს მოსახლეობაში გაზრდილია სიმსივნური დაავადებები. სტატისტიკით ყოველწლიურად 10 ათასი ახალი შემთხვევა ფიქსირდება, რაც გარემოს სხვა გამაბინძურებლებთან ერთად რადიაციის გაზრდილი ფონითაცაა გამოწვეული, რომლის მრავალი წყარო არსებობს, მაგრამ ბევრია სხვადასხვა გადანაყარება რუსული სამხედრო ბაზების ყოფილი ტერიტორიებზე. აღნიშნულ სიტუაციას ჩერნობილის ასზე მომხდარი ავარიით ხსნიან, რომელმაც ყველაზე მეტად 4 რესპუბლიკა, რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია და საქართველო დააზარალა.

ტექნიკურ პროგრესს უამრავ სიკეთესთან ერთად თან ახლავს რიგი სიმწიფეები რომელთა გადაწყვეტაზეა დამოკიდებული მომავალში ბიოსფეროსა და კაცობრიობის არსებობა. ამ მიზნით განსახორციელებელ პროფილაქტიკურ ღონისძიება შორის მნიშვნელოვანია:

-ეკოლოგიურად და ეკონომიკურად რაციონალურ სოფლის მეურნეობაზე გადასვლა

-ტოქსიკური პესტიციდების და სასუქების, ჰერბიციდების გამოყენების შეზღუდვა

-ნარჩენები პესტიციდების დასაშვები ნორმების დადგენა, მათი მოყვანა სარეზინო მათხოვნათა შესაბამისობა.

-ტექნიკური და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სრულყოფილი ინვენტარიზაცია და აღრიცხვა, მათი კლასიფიკაცია, მეორადი გამოყენების პერსპექტივებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა.

სისტემატურად განისაზღვროს საკვებ პროდუქტებში პესტიციდების და სხვა ქიმიურად საშიში ნივთიერებების რაოდენობა, ექსპრეს-მეთოდებითა და თანამედროვე აპარატურით

-ნიადაგების სანიტარული დაცვისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფა და მოქმედებაში შეყვანა

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის აუცილებელია იმ კანონების, დადგენილებების და კონვენციების განხორციელება, რომლებიც შემუშავებულია საქართველოში და რომლებზეც ხელი აქვს მოწერილი შესაბამის უწყებებს: 1. კანონი „ნიადაგების დაცვის შესახებ“ (1996). 2. „პეტიციებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ – როტერდამის კონცეფცია (1998). 3. „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ“ - სტოკჰოლმის კონცეფცია (1998).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ც. ჟორჯოლიანი, ე. გორდაძე - ბუნების დაცვა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, აწსუ, 2010, ქუთაისი
2. ც. ჟორჯოლიანი, ე. გორდაძე – კონსერვაციული ბიოლოგია საქართველოს დაცული ტერიტორიები, აწსუ, 2013, ქუთაისი
3. ც. ჟორჯოლიანი ე. გორდაძე – სამედიცინო ეკოლოგია აწსუ 2008 წ. ქუთაისი
4. საქართველოს და საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციები, თბილისი, 2002 გარემოსდაცვითი პოლიტიკის ცენტრი.

Pollution of Soil & Its Influence on Human Health

Tsira Zhorzholiani

Doctor of Biological Sciences, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Emzar Gordadze

Doctor of Biological Sciences, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Keywords: Soil, Poisonous chemicals, Radioactive substances, Waste, food chains, diseases.

Scientific-Technological progress in addition to industrial and agricultural advancements together create whole lot of issues. Contaminates soils, atmospheric air, hydrosphere therefore it causes danger to human health. There are various materials that pollute air such as: pesticides, fertilizers, industrial and household waste, radioactive substances, heavy metals etc. These are concentrated in environment, food chain process helps them to interact with living organisms(including humans) in harmful manner and it causes teratogenic, blastogenic, carcinogenic effects.

Intense impact of technogenesis regarding health of environment and human starts in 1970s. Pesticides are chemical means to protect animals and plants from pests which is used worldwide including Georgia, where 18-20 types of 1500 tonne pesticides are annually imported. Pesticides kill more than 10,000 human every year and 40,000 are poisoned.

Fertilizers are chemical substance, which increases yielding by 50-60%, but they are dangerous substances for both human life and environment. Chemical substances that are within these fertilizers infiltrate human bodies through food chain or food products and they cause disease to methemoglobin, anemia, tumor, reproductive and other organs.

Georgian agriculture used to use hundred tone of chemicals annually, albeit nowadays agriculture isn't primary interest of farmers therefore it has been reduced by 40%. There are many cases where chemicals mentioned above are exposed out in open and they harm environment around their vicinity. Georgian soils are also polluted by natural wastes, which is mixed with industrial and household wastes, they consist of bacterias, viruses helminths' eggs, poisonous substances etc. they poison environment and harm human health, such areas exist in vicinity of Tbilisi, Kutaisi, Rustavi, Poti and their quantities are in hundred thousands.

Georgia possesses arsenic(As) mines in villages: Lukhumi and Tsani. In above mentioned villages quantity of arsenic is extremely high, which poses danger to health of people. Researches prove that 40-50% of population in these villages have cardiovascular, nervous, gastrointestinal and tumor diseases.

Georgian soils, particularly highways and cities have high quantity of lead (plumbum/Pb) which is caused by outdated and faulty vehicles and low quality fuel/petrol. According to data of UNCF (2019) 40% of researched children had high quantity of lead (Plumbum), latest research shows that high contents of lead (Pb) has been observed in spices and meats. Georgian soil and air also contains high quantity of radioactive substances, which originate from different sources albeit most prominent source is wastes from previous Russian military bases. This has caused increase number in tumor disease, roughly 10,000 new cases.

Technological progress has paved the way for problems which require to be dealt with, because existence of humans and earth depends on it. Georgia has active law "On Protection of Soil" (1994). It has signed and collaborated with Rotterdam Convention "On Pesticides & Agrochemicals" (1998), Stockholm Convention "On Organic Pollutants" and other various documents.

Besides above mentioned we consider some other actions necessary, such as:

- Reduced usage of toxic pesticides and fertilizers;
- Making inventory for technical and household wastes, classifying them, and possible solutions for recycling;
- Systematical measurement of pesticides & toxic substances in food with help of experts and modern technology;
- Hygienic & sanitary actions for protection and improvement of soil.

Phenolic compounds *Cotoneaster pyracantha* L and their antioxidant activity are common in Georgia

Makvala Pruidze

Candidate of Technical Sciences, Academic Doctor of Technology, Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Ekaterine Bendeliani

Candidate of Biological Sciences, Academic Doctor of Technology, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Shorena Chakvetadze

Academic Doctor of Agrarian Sciences in Food Technology, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

*We studied *Cotoneaster pyracantha* L, which is widely used in wildlife in western Georgia, to study the physical and chemical properties of wild-growing plant *Chitivashala* in Georgia, its total number of phenolic compounds, its composition and antioxidant properties, their medicine.*

Keywords: *Cotoneaster pyracantha* L., extract, phenolic compounds, antioxidant properties, carotenoids.

Cotoneaster pyracantha L - belongs to the rose family. It is evergreen, sometimes deciduous, often branched, shrubby, 2-3 m tall, with a maximum of 5 m, with an open trunk and reddish, burgundy thorny branches. Flowering and young growth allowed, leaves, elliptical or ovate to 2-3 cm long, more or less pointed, even toothed, glossy lightly allowed. The flower is tight, more or less fluffy. The flowers are thin, white or yellowish - red, hardy, with triangular-leaved leaves, red dusty. Fruits - berry, 5-7 mm in size, color from light red - yellow (which is due to carotenoids), remain on the plant for a long time, in winter it is not infrequently affected by birds, seeds, slightly poisonous due to the content of cyanocosides (pic. 1).

The rest of the fruit and plant do not contain these substances. Flowering in June, the fruits ripen in September. Propagated vegetatively, by rooting. Distributed in southern Europe, Asia Minor and the Caucasus. In the seventeenth century it was introduced to Central Europe as well as North America. It thrives on dry, heavy, sunny soils.

Cotoneaster pyracantha L is included in the Red Book in many countries around the world. It is advisable to use it for industrial regions as an ornamental plant. *Chitivashla* tincture is used in folk medicine for the treatment of acute and chronic gastritis and various diseases of the gastrointestinal tract. All plant organs are used for treatment [1].

The aim of our study was to study the physical-chemical properties of many common, wild-growing plants in Georgia, the extraction of phenolic compounds, their composition and antioxidant properties, their medicinal properties and their use in the food industry.

Antioxidants are a group of different chemicals that have the ability to bind free radicals and reduce the intensity of oxidative processes in the body, therefore, can neutralize the negative effects.

Free radicals, these highly active particles, are continuously formed in the living organism as a result of metabolic processes from oxygen and nitrogen; A strong source of free radicals is a polluted environment, cigarette smoke, smoked and fast food products. Living organisms have effective means of combating free radicals - enzyme systems and natural oxidants - free radical scavengers: α -tocopherol, ascorbic acid, β -carotene, selenium and others. As a result of various pathogenic processes in the body, the concentration of free radicals can increase dramatically [2].



Pic.1. Cotoneaster pyracantha L

According to their chemical nature, antioxidants (bioanthidanic acids) are broad classes of compounds: phenols and polyphenols (tocophenols, flavonoids, gallic acid derivatives, etc.), antioxidant enzymes (superoxide disodium gonadotropin, dexamethasone, glutathione peroxide) Thioredoxins, etc.), as well as many other substances.

An antioxidant is any substance that, in small concentrations, significantly inhibits or inhibits its free radical oxidation compared to the substance [3].

As for the forming of a four-year seedling (already a tree), the trunk should be slightly lopped off and the top of the central stem also be cut about three centimeters above the ground. Trees need a particular technique to lop them off legitimately, considering climatic conditions, plant irrigation and caring issues.

ჰუმუსით საავტომობილო გზების ექსპლუატაციის თანმდევი რისკების შემცირების შესაძლებლობები

მერაბ ბარათაშვილი

სმ აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

თორნიკე ბარათაშვილი

მაგისტრანტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

გზის მშენებლობისას ხშირად აუცილებელი ხდება მთის მასივების გახსნა, რის გამოც მნიშვნელოვანი ზიანი ადგება გარემოს და გახსნილ ფერდობებზე წარმოქმნილი ეროზიული პროცესები სერიოზულ საფრთხე უქმნის გზის უსაფრთხოდ ექსპლუატაციას შესაძლებლობას. სტატიაში განხილულია შემუშავებული მეთოდით მოწყობილი ბადეებითა და ადგილზე წარმოებული ჰუმუსის გამოყენებით აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობები. ასევე სტატიაში მოტანილია დასკვნები რომლებიც ჰუმუსით აზბესტის ნარჩენების ნეიტრალიზირების კვლევისას იქნა მიღებული. დასკვნის სახით წარმოდგენილია ის მოსალოდნელი შედეგები რომელიც შეიძლება მიღწეული იქნას მეთოდის პრაქტიკაში დანერგვის შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: საავტომობილო გზა, ტრანსპორტი, უსაფრთხოება, გახსნილი ფერდობები, მძიმე მეტალები, აზბესტი, ჰუმუსი.

ბიო ჰუმუსის აქტიური გამოყენებით სოფლის მეორეობაში წარმოების მოცულობის და პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება კვლევების შედეგად დადასტურებული ფაქტია. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჰუმუსის კვლევის შესწავლისას დადგენილი იქნა რომ ის მძიმე მეტალების გაუვნებლობის და უნიკალური საშუალებაა. ამ მიზნით მას ეფექტურად იყენებენ მიკრო რეკრიაციულ ზონებში მძიმე მეტალებიდან სუფთა გარემოს შესაქმნელად.

საქართველოში გზების მშენებლობა უმეტეს შემთხვევაში გარდამავალი ხასიათის მქონე რელიეფებზე წარმოებს, ამ დროს საავტომობილო გზის კორიდორის მოსაწყობისას, გზისპირას გახსნილი ფერდობებზე ვრცელდება ეროზიული პროცესები, შედეგად სერიოზულად ზიანდება გარემო და ფერდობიდან დაცურებული მიწის მასებით მცირდება გზის ექსპლუატაციის საიმედოობის მაჩვენებლები. შემუშავებული იქნა გეო ბადეების საიმედო და იაფი ანალოგის მეორადი პეტ ბოთლებიდან მოწყობის მეთოდოლოგია, აღნიშნული ბადები ეწყობა 30% -ამდე გახსნილ ფერდობებზე. ბადის 0,2 სიმაღლის უჯრედები ივსება ადგილზე წარმოებული ჰუმუსის მასით. გახსნილ ფერდობებზე მოკლე დროში წაემოქმნილი მწვანე საფარი აჩერებს ეროზიის პროცესს და ამცირებს ფერდობიდან მიწის მასების ჩამოშლის შესაძლებლობებს. მიწის ვაკისის გვერდით ფერდობებზე აღნიშნული მეთოდის გამოყენებით, საფარის ქვეშ მიწის მასა დაცულია წყლის ზემოქმედებისაგან. რის გამოც მიწის ვაკისი ინარჩუნებს პრო-

ექტით განსაზღვრულ პლასტიკური დეფორმაციის მაჩვენებელს. ამის გამო გზა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არ იცვლება გზის საიმედოობის განმსაზღვრელი ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.

ყოველივე ეს კი იძლევა გზის მცირე დანახარჯებით ექსპლუატაციის შესაძლებლობას. ტრანსპორტის ექსპლუატაციისას ძირითადად ყურადღება გამონაბოლქვზეა გამახვილებული. ტრანსპორტის ექსპლუატაციისას წარმოიქმნება საბურავის ცვეთის ნარჩენები და სამუხრუჭე ხუნდებიდან აზბესტის მტვერი. აზბესტი ადამიანის ჯანმრთელობისთვის სერიოზული საფრთხის შემცველი ნივთიერებაა. ჩვენ მიერ წარმოებული კვლევებით დადასტურდა ჰუმუსის კიდე ერთი თვისება, ის ფორმას უცვლის აზბესტის წვრილმარცვლოვან ბოჩკებს. ჰუმუსთან ზემოქმედების შემდეგ ის ხდება უსაფრთხო. კვლევებით დადგენილი იქნა ჰუმუსის სტრუქტურული და ფიზიკური მახასიათებლები, რომლის დროსაც მაქსიმალურია აზბესტის ნეიტრალიზირების მახასიათებლები.

გზების მშენებლობისას, განსაკუთრებით დასახლებულ პუნქტებში აქტიურად უნდა იქნას მოწყობილი მწვანე ჰუმუსით დაფარული გზისპირა ზოლები. ამ ზოლების მეშვეობით მოხდება წვის პროდუქტებში მძიმე მეტალებისა და ხუნდის მტვერში არსებული აზბესტის ნეიტრალიზირება.

კვლევის შედეგების დანერგვა მნიშვნელოვნად შეამცირებს გზის ექსპლუატაციისას გარემოს ზემოქმედებით წარმოქმნილ და გზაზე ტრანსპორტის მოძრაობისას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების რისკებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. M. Baratashvili, N. Gintibidze. Создание геотекстильных материалов из вторичного пет сырья защиты склонов от эрозии и восстановление структуры. Zbiór artykułow naukowych. inżynieria i technologia. priorytetowe obszary badawcze; odtoreoil do praktyki. 02.2017
2. M. Baratashvili, N. Gintibidze. Pee-reviewed Jurnal. SCIENCE REVIEW. RC Global. Efective metpdology for regucing erozion processes and restoration of bio pavement on slopes in road constrution. 7 (7) 2017 18-20

Reduction opportunities Risks associated with road maintenance with biogus

Merab baratashvili

RA Academic Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Tornike baratashvili

Magistrant, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Keywrds: Road, transport, safety, open slopes, heavy metals, asbestos, humus

An increase in production volumes and product quality with the active use of vermicompost in rural households is a proven fact of research. Long-term study of humus has shown that it is a neutral and unique way to neutralize heavy metals. road construction in most cases is carried out in transitional terrain, at this time when the road corridor is being set up, erosion processes spread to the slopes of the roadside, as a result of which the environment is seriously damaged and measures are taken to ensure road safety. reduced. A technique has been developed for the construction of reliable and inexpensive analogs of geogrids from secondary PET bottles, arranged on slopes. The green cover formed on open slopes stops the erosion process in a short time and reduces the likelihood of land mass falling from the slope. Due to this, the technical and economic indicators that determine the reliability of the road do not change for a long period of time. All this allows you to operate the road at low cost. When operating vehicles, chlorine gases, tire wear products and asbestos dust are formed. Our studies have confirmed another property of humus - it changes the shape of fine-grained asbestos fibers and becomes safe. Road structures covered with humus should be actively erected during road construction, especially in settlements. These strips neutralize heavy metals and asbestos.

The implementation of research results will significantly reduce the risks of impact on the environment and human health caused by the impact on the environment during the operation of roads and traffic.

4 მიმართულებათშორისი ღარბები MULTIDISCIPLINARY BRANCHES МЕЖДУДИСЦИПЛИНАРНЫЕ ОТРАСЛИ



შიდა ტურიზმი: სოფლად დასვენებაზე მოთხოვნა პოსტპანდემიურ პირობებში (იმერეთი)

იზოლდა ხასაია

ასოც. პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

იმერეთი ერთერთია იმ რეგიონებს შორის საქართველოში, რომელსაც შიდა ტურისტების ყველაზე დიდი რაოდენობა სტუმრობს თბილისის შემდეგ. მას შეუძლია შესთავაზოს კოვიდისაგან თავისუფალი სარეაბილიტაციო ზონები - ადგილები გამორჩეული სამკურნალო ფაქტორებით და ლანდშაფტის თავისებურებებით.

თუ გადავხედავთ წინა წლის მაჩვენებლებს შიდა ჯამური ვიზიტების 18.2% იმერეთზე მოდის. პანდემიის პირველი ტალღის შემდეგ ერთერთი ყველაზე მონახულებადი ობიექტი იყო პრომეტეს მღვიმე (10581 ვიზიტორი), სათაფლია (6002 ვიზიტორი), კინჩხას ჩანჩქერი (2017 ვიზიტორი), ოკაცეს კანიონი (5296 ვიზიტორი).

წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო დადგენა რამდენად მოთხოვნადი იყო დასვენება სოფლად პანდემიის პირველი ტალღის შემდეგ და როგორ შეუწყო ამან ხელი ტურისტულ ბიზნეს სოფლად.

კვლევებმა გვიჩვენა, პოსტპანდემიურ რეალობაში (პანდემიის პირველი ტალღა) იმერეთისთვის პრიორიტეტული იყო ტურიზმის ისეთი მიმართულებები, როგორცაა სოფლად ტურიზმი, ღვინის ტურიზმი, ეკოტურიზმი და სხვა. კორონავირუსის პანდემიამ შეცვალა ადამიანების ცხოვრება, შეხედულებები, უბიძგა ქალაქიდან სოფლებში, თავისი მიტოვებულ სახლებში დაბრუნებისკენ, გაუჩინა სურვილი ნათესავებისა და ახლობლების მონახულების, სასოფლო - სამეურნეო საქმიანობაში ჩართულობის და ამისგან სიამოვნების მიღების, ბუნების წიაღში ყოფნისა და ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრების. გამოკითხულთა უმრავლესობა ისვენებდა იმერეთის სოფლებში და ცხოვრობდა საკუთარ სახლში.

პანდემიამ ბევრი რამე შეცვალა ადამიანების ცხოვრებაში და პოსტპანდემიური ვითარებაც ალბათ იქნება განსხვავებული. თუმცა იმერეთის მაგალითზე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს მზარდი მოთხოვნა ურთიერთობის, ოჯახის წევრებთან მეტი დროის გატარების, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად ბუნების წიაღში და ჯანსაღ გარემოში დასვენების.

საკვამო სიტყვები: შიდა ტურიზმი, პანდემია, სოფლად დასვენება, იმერეთი

შესავალი

ტურიზმის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 8.1% -ს შეადგენს [1, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემებით] და ის წარმოადგენს ერთ-ერთი სწრაფად განვითარებად და ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან დარგს. ამას ადასტურებს უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ყოველწლიური ზრდა, რომელიც 2019 წელს 2015 წელთან შედარებით 48% -ით გაიზარდა და 9.4 მილიონი შეადგინა. ტურისტული ვიზიტები კი 68%-ით გაიზარდა და 2019 წელს 5.1 მილიონი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირველ ტალღამდე, სანამ საზღვრები ჩაიკეტებოდა 2020 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით 10%-ით გაიზარდა, შემოსავალი კი 6% -ით [2,

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2020].

მთელ მსოფლიოში კოვიდ პანდემიამ ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმს მიაყენა და გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა. ქვეყნისთვის ტურიზმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ერთ-ერთი პირველი ანტიკრიზისული გეგმა სწორედ მის მხარდასაჭერად იყო მიმართული [3]. აღსანიშნავია, რომ ამ გეგმამ შიდა ტურიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. შესაბამისად, საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ წამოიწყო შიდა ტურიზმის განვითარების კამპანია „იმოგზაურე საქართველოსთვის“, რომლის ფარგლებში განხორციელებულმა პროექტებმა ხელი შეუწყვეს როგორც რეგიონების პოპულარიზაციას, ასევე შიდა ტურიზმის წახალისებასა და ტურისტულ ობიექტებზე ვიზიტორთა მოზიდვას [2].

„იზოლაციაში გატარებული თვეების შემდეგ ადამიანებს გაუჩნდებათ ქალაქგარეთ ბუნებაში გასვლის და დასვენების სურვილი. აქ მთავარია ისეთი ტურისტული პროდუქტების შეთავაზება, რომლებიც მოიცავენ სოფლის ტერიტორიებს, კურორტებს, დაცულ ტერიტორიებს, ე.ი. უსაფრთხო/ვირუსისაგან თავისუფალი ზონები“ [4, ი. ხასია, 2020]. ის ადამიანები, ვინც საზღვარგარეთ დადიოდნენ დასასვენებლად გადაინცვლებენ შიდა ტურიზმში, გაჩერდებიან სასტუმროებში, დაისვენებენ ბუნებაში, მონახულებენ ღირშესანიშნავ ადგილებს და ა.შ.

შიდა ტურიზმს ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკურ აქტივობასა და დასაქმებაში, როგორც მსოფლიო ასევე საქართველოს მასშტაბით. მაგალითისთვის, 2018 წელს შიდა ტურიზმმა შეადგინა მსოფლიოს მთლიანი ტურისტული აქტივობის 71.2%-ი, ხოლო საერთაშორისო ვიზიტორებთან დაკავშირებულმა აქტივობებმა მხოლოდ 28.8%-ი [5, World Travel & Tourism Council, 2019].

საქართველოში შიდა ვიზიტორების ვიზიტების რაოდენობამ 2019 წელს 14.3 მილიონი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 8.5%-ით მეტია (2018 წელს 13.1 მილიონი), ხოლო პანდემიის პირველი ტალღის შემდეგ (2020 წლის 2 კვარტალში) ეს რიცხვი წინა წელთან შედარებით 39.2%-ით ნაკლები იყო [2].

საქართველოში ბოლო დროს მოთხოვნადი გახდა ტურიზმის ისეთი მიმართულებები, რომლებიც აქტუალურობას იძენენ კრიზისულ ან პოსტკრიზისულ პერიოდში. ამ მიმართულებებს შორის არის გამაჯანსაღებელი და სამკურნალო ტურიზმი, ტურიზმი სოფლად, ეკოტურიზმი, ღვინის ტურიზმი და სხვა.

თბილისის შემდეგ იმერეთი არის ერთ-ერთი იმ რეგიონთა შორის რომელთაც შიდა ტურისტების ყველაზე დიდი რაოდენობა სტუმრობს. იმერეთს შეუძლია შესთავაზოს კოვიდისაგან თავისუფალი სარეაბილიტაციო ზონები რომელთათვისაც დამახასიათებელია გამორჩეული სამკურნალო ფაქტორები და ლანდშაფტის თავისებურებები.

თუ გადავხედავთ წინა წლის მაჩვენებლებს, შიდა ჯამური ვიზიტების 18.2% იმერეთზე მოდის [2]. პანდემიის პირველი ტალღის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მონახულებადი ობიექტი იყო პრომეთეს მღვიმე (10581 ვიზიტორი), სათაფლია (6002 ვიზიტორი), კინჩხას ჩანჩქერი (2017 ვიზიტორი), ოკაცეს კანიონი (5296 ვიზიტორი). [6, დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2020]

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო განესაზღვრა თუ რამდენად მოთხოვნადი იყო სოფლად დასვენება პანდემიის პირველი ტალღის შემდეგ და ასევე თუ როგორ შეუწყო ხელი არსებულმა მოთხოვნამ ტურისტული ბიზნესის განვითარებას სოფლად.

კვლევის შედეგები

კვლევა ჩატარდა იმერეთში. წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით ონლაინ გამოიკითხა 200 კაცი.


გამოკითხულთა 53%-ი იყო მდებრობითი სქესის, ხოლო 47%-ი მამრობითი სქესის. რესპონდენტთა ასაკობრივი მაჩვენებელი იხილეთ ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 1.).

დიაგრამა 1. რესპონდენტთა ასაკობრივი მაჩვენებელი




პანდემიის პირველი ტალღის დასრულებისას და შეზღუდვების მოხსნის შემდეგ თითქმის ყველა გამოკითხულმა იმოგზაურა საქართველოში სხდასხვა მიზნით, მათ შორის 40%-მა იმოგზაურა იმერეთში.

გამოკითხულთა 35%-მა აირჩია დასვენება ბუნებაში სოფლის პირობებში კერძოდ, იმერეთში. რესპოდენტთა 12%-თვის მოგზაურობის მიზანი იყო დაცული ტერიტორიების, ნაკრძალების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონახულება. ასევე აქტუალური იყო ზღვაზე დასვენება გამოკითხულთა 32%-თვის (იხ. დიაგრამა 2)



დიაგრამა 2. ვიზიტორთა განაწილება მოგზაურობის მიზნის მიხედვით

აღსანიშნავია, რომ ყველაზე პოპულარულ აქტივობებს შორის დასახელებული იყო სასოფლო სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობა (11.5%), რელიგიური ადგილების (ეკლესიების) მონახულება (8%), ადგილობრივი სამზარეულოსა და ღვინის დაგემოვნება (39%), ნათესავებისა და მეგობრების მონახულება (53.5%).



დიაგრამა 3. რესპონდენტთა მიერ გამოყენებული განთავსების საშუალებათა მაჩვენებლები

საინტერესოა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ (42%) დასარჩენად აირჩია მეგობრებისა და ნათესავების სახლი, საკუთარ სახლი 30%-მა, საოჯახო სასტუმროები 8%-მა, სასტუმრო კი 3%-მა (იხ. დიაგრამა 3.).

ჩატარებული გამოკითხვის თანახმად დასვენებაზე საშუალო დანახარჯმა შეადგინა დაახლოებით 400 ლარი.

დასვენებით ძალიან კმაყოფილი იყო რესპონდენტთა 45%-ი, კმაყოფილი 50%-ი, უკმაყოფილო 3%-ი, ხოლო პასუხის გაცემა გაუჭირდა 2%-ს.

დასკვნა

როგორც კვლევამ გვიჩვენა, პოსტპანდემიურ რეალობაში (პანდემიის პირველი ტალღა) იმერეთისთვის პრიორიტეტული იყო ტურიზმის ისეთი მიმართულებები, როგორცაა ტურიზმი სოფლად, ღვინის ტურიზმი, ეკოტურიზმი და სხვა.

კორონავირუსის პანდემიამ შეცვალა ადამიანების ცხოვრების წესი და შეხედულებები. უბიძგა მათ ქალაქიდან სოფლებში, თავიანთ მიტოვებულ სახლებში, დაბრუნებისკენ, გაუჩინა ნათესავებისა და ახლობლების მონახულების სურვილი, ასევე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვის, ბუნების წიაღში ყოფნის და ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრების სურვილი. გამოკითხულთა 40% ისვენებდა იმერეთის სოფლებში და აქედან 75% ცხოვრობდა საკუთარ „მეორე სახლში“.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ შიდა ვიზიტორებმა ხელი შეუწყვეს ტურისტული ბიზნესის განვითარებას სოფლად. ბევრმა საოჯახო სასტუმრომ იმუშავა 40%-ნი დატვირ-

თვითაც კი, გააქტიურდა მარნებში ადგილობრივი სამზარეულოსა და ღვინის დაგემოვნება (გამოკითხულთა 39%-ი) და სხვა.

პანდემიამ ბევრი რამე შეცვალა ადამიანების ცხოვრებაში და პოსტპანდემიური ვითარებაც ალბათ იქნება განსხვავებული. თუმცა იმერეთის მაგალითზე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს მზარდი მოთხოვნა ურთიერთობის, ოჯახის წევრებთან მეტი დროის გატარების, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად ბუნების წიაღში და ჯანსაღ გარემოში დასვენების.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.geostat.ge/>
2. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ოფიციალური ვებგვერდი : www.gnta.ge
3. „საქართველოს მთავრობის ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა“, საქართველოს მთავრობა, 7 მაისი 2020, URL : http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=76051
4. Izolda Khasaia, „ Post-crisis Tourism in Georgia: State Policy and Coronavirus Free Zones“, International Scientific and Practical Conference Tourism of The XXI Century: Global Challenges and Civilization Values June, 01, 2020, Kyiv, KNUTE, URL: <https://knute.edu.ua/file/NjY4NQ==/d9c3d4891ba0c4b4ded109db9b74a1ac.pdf>
5. “The Economic Impact of Travel & Tourism 2019”, World Travel & Tourism Council, 2019
6. დაცული ტერიტორიების სააგენტო, ოფიციალური ვებგვერდი: www.apa.gov.ge

Domestic Tourism: Demand for Rural Recreation in Post-Pandemic Conditions (Imereti)

Izolda Khasaia

Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Key words: Domestic Tourism, Pandemic, Rural Recreation, Imereti

Tourism is one of the fastest growing and most important sectors of the Georgian economy. This is confirmed by the annual increase in the number of foreign visitors, whose number increased by 48% in 2019 compared to 2015 and amounted to 9.4 million [2, Georgian National Tourism Administration, 2020]. The share of tourism in Georgia's GDP is 8.1% [1, according to the 2019 National Statistical Office].

The pandemic has dealt the biggest blow to tourism in the world, and Georgia is no exception. In view of the importance of tourism for our country, one of the first anti-crisis plans developed by the Georgian government was to support this particular business [3]. It should be noted that according to this plan, great importance is attached to domestic tourism. Therefore, the National Tourism Administration of Georgia launched a campaign for the development of domestic tourism called "Travel for Georgia", within which the implemented projects contributed to the promotion of the regions, as well as the promotion of domestic tourism and attracting visitors to

tourist sites [2].

“After long months of isolation, when all restrictions on movement are lifted, people will have a desire to leave the city and relax in nature. It is important to offer such tourism products that cover the countryside, resorts, protected areas, nature reserves, i.e. virus free zones / safe zones”. [4, I. Khasaia, 2020]

People who went on vacation abroad will turn to domestic tourism, stay in hotels, relax in nature, and visit attractions.

Recently, there has been an increased interest in rural tourism in Georgia and, in particular, in Imereti. Many objects have appeared especially near nature reserves, protected areas, famous monuments of history and culture.

Imereti is one of the regions in Georgia with the largest number of domestic tourists after Tbilisi. It can offer Covid-free rehabilitation zones - places with distinctive healing factors and landscape features.

The aim of the presented study was to determine the demand for recreation in rural areas after the first wave of the pandemic and how this contributed to the rural tourism business.

As studies have shown, in the post-pandemic reality (the first wave of the pandemic) such areas of tourism as rural tourism, wine tourism, ecotourism and others were prioritized for Imereti.

The coronavirus pandemic changed people's lives, views, pushed them back from the city to the countryside, to their abandoned homes, the desire to visit relatives and loved ones, to engage in and enjoy farming, to live in nature and to lead a healthy lifestyle. 40% of the respondents were resting in the villages of Imereti and 75% of them lived in their second house.

We can say that domestic visitors have facilitated the rural tourism business, many family hotels have operated with 40% occupancy, intensified local cuisine and wine tasting in the cellars (39% of respondents benefited from this) and more.

The pandemic has changed many things in people's lives and the post-pandemic situation will probably be different as well. However, on the example of Imereti, we can say for sure that there is a growing demand for relationships, spending more time with family members, relaxing in nature and in a healthy environment with relatives and friends.

ტურიზმის განვითარების პერსპექტივები იმერეთის რეგიონში

სერგო ცაგარეიშვილი

სმ აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

მარიამ გაბუნია

სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი საქართველო

გიგა დარასელია

სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი საქართველო

ტურიზმის დარგის განვითარებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისთვის, რადგანაც ტურიზმი ხელს უწყობს სხვადასხვა დარგების განვითარებას.

სამწუხაროდ კორონა ვირუსის პანდემიამ, მთლიანად გააჩერა ტურისტული საქმიანობა. საქართველოში, მხოლოდ სასტუმროების ნაწილი არის ჩართული კარანტინში მყოფი ადამიანების მომსახურებაში.

საქართველოში პანდემია დასასრულს უახლოვდება და მალე დავიწყებთ უცხოელი ტურისტების მიღებას. არსებულ სიტუაციაში წინა პლანზე გამოდის საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის 2025 წლის ამოცანა, რომელიც მდიდარ ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს მსოფლიო დონის უნიკალურ ტურისტულ პროდუქტად აქცევს და მოიზიდავს უფრო მაღალგადახდისუნარიან უცხოელ ტურისტებს.

ჩვენი მიზანი იყო, იმერეთის რეგიონში კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტების შექმნა საერთაშორისო ტურისტული ბაზრისათვის მაღალგადახდისუნარიანი ტურისტების მოსაზიდად.

სიახლეს წარმოადგენს აღნიშნული ტურების ფორმირება: წარმოგიდგენთ რომანტიკულ ტურს ქუთაისში, სადაც მზატვრულად არის გადმოცემული სიყვარულის ისტორიები ანტიკური ხანიდან დღემდე, ამ ტურში ჩვენი მიზანია ისტორიული მოვლენები და ფაქტები წარვუდგინოთ ტურისტებს.

გასტრონომიული ტური ქუთაისში მოიცავს ეროვნული კერძების დაგემოვნებას, ტრადიციულ სტუმარმასპინძლობას თამადის ინსტიტუტის გათვალისწინებით, მასტერკლასებს, კულტურულ ღონისძიებებს და სხვა.

ღვინის ტური ბაღდათიდან სოფელ ობჩაში რამდენიმე მარანთან მიდის. ერთი მათგანი საქართველოში, კერძოდ იმერეთში ყველაზე ახალგაზრდა მეღვინე გოგონას, ბაია აბულაძეს ეკუთვნის. აბულაძეების ოჯახი ღვინოს საკუთარ ვენახებში მოწეული მოსავლით ამზადებს, რომელიც იმერეთის საუკეთესო ღვინოდ სახელდება და დიდ აღრფთოვანებას იწვევს უცხოელ ტურისტებში.

ჩვენს მიერ შექმნილია სარეაბილიტაციო გამაჯანსაღებელი ტური წყალტუბოში, სადაც საკურორტო სამკურნალო მომსახურებასთან ერთად გათვალისწინებულია კულტურული ღონისძიებები. აღნიშნული კურორტები ჩვენს მიერ წარდგენილია საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე.

უნიკალური ტურების ფორმირებაზე მუშაობა გრძელდება რაც ახლო მომავალში გაზრდის ჩვენი რეგიონის ცნობადობას.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ტური, ტურისტი, სტუმარმასპინძლობა, ტრადიცია, კურორტი, ეკონომიკა.

ტურიზმის დარგის განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისთვის, რადგანაც ტურიზმი ხელსუწყობს სხვადასხვა დარგების განვითარებას, როგორცაა: სოფლისმეურნეობა, ტრანსპორტი, კვებისმრეწველობა, ვაჭრობა, მშენებლობა, ინფრასტრუქტურა, გართობა, სუვენირებისწარმოება და სხვა.

სამწუხაროდ კორონავირუსის პანდემიამ, მთლიანად გააჩერა ტურისტული საქმიანობა. საქართველოში, მხოლოდ სასტუმროების ნაწილი არის ჩართული კარანტინში მყოფი ადამიანების მომსახურებაში.

საქართველოში პანდემია დასასრულს უახლოვდება და მალე დავიწყებთ უცხოელი ტურისტების მიღებას. არსებულ სიტუაციაში წინა პლანზე გამოდის საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის 2025 წლის ამოცანა, რომელიც მდიდარ ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს მსოფლიო დონის უნიკალურ ტურისტულ პროდუქტად აქცევს და მოიზიდავს უფრო მაღალ გადახდისუნარიან უცხოელ ტურისტებს.

ჩვენი მიზანი იყო, იმერეთის რეგიონში კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტების შექმნა საერთაშორისო ტურისტული ბაზრისათვის მაღალგადახდისუნარიანი ტურისტების მოსაზიდად.

სიახლეს წარმოადგენს აღნიშნული ტურების ფორმირება: წარმოგიდგინებთ რომანტიკულ ტურს ქუთაისში, სადაც მხატვრულად არის გადმოცემული სიყვარულის ისტორიები ანტიკური ხანიდან დღემდე, ამ ტურში ჩვენი მიზანია ისტორიული მოვლენები და ფაქტები წარვუდგინოთ ტურისტებს.

ტური იწყება თეთრი ხიდიდან, რომელიც დიდ ფუნქციას ასრულებს ქალაქისათვის, ამ ადგილს განსაკუთრებულობა თვით ბუნებამაც შესძინა თეთრი ქვების სახით.

აქ სეირნობდნენ ბოჰემური ცხოვრების ტკბობით ცნობილი ცისფერყანწელები. ეს ადგილი არის შეყვარებულთა შეხვედრისათვის გამორჩეული, რამეთუ სიყვარულის სიმბოლოდ ხიდი აერთიანებს და აკავშირებს ორგულს.

ტურის მეორე ნაწილი გრძელდება ახალგაზრდულ კაფეში, სადაც გათვალისწინებულია რომანტიკული საღამო (ვიქტორინა, კონკურსი-მხატვრული კითხვა, ეროვნული და თანამედროვე ცეკვები და სიმღერები).

იმერეთში გასტრონომიური ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს ადგილობრივი, უნიკალური და განსხვავებული სამზარეულო, მრავალფეროვანი ადგილობრივი ვაზის ჯიშები, ქართული ღვინოები კი პუპულარობით სარგებლობს უცხოელ ტურისტებში.

გასტრონომიული ტური ქუთაისში მოიცავს ეროვნული კერძების დაგემოვნებას, ტრადიციულ სტუმარმასპინძლობას თამადის ინსტიტუტის გათვალისწინებით, მასტერკლასებს, კულტურულ ღონისძიებებს და სხვა.

ღვინის ტური ბაღდათიდან სოფელ ობჩაში რამდენიმე მარანთან მიდის. ერთი მათგანი საქართველოში, კერძოდ იმერეთში ყველაზე ახალგაზრდა მეღვინე გოგონას, ბაია აბულაძეს ეკუთვნის. აბულაძეების ოჯახი ღვინოს საკუთარ ვენახებში მოწეული

მოსავლით ამზადებს, რომელიც იმერეთის საუკეთესო ღვინოდ სახელდება და დიდ აღფრთოვანებას იწვევს უცხოელ ტურისტებში.

ევროპელი ვიზიტორები მასთან ოზხაში თითქმის ყოველდღე დადიან, ამბობს, რომ ევროპელებს იმერული სამზარეულო და მისი მარნის ღვინო, განსაკუთრებით თეთრი ციცქა-ცოლიკაური უყვართ.

საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები უძველესი დროიდან იპყრობენ მკვლევართა ყურადღებას.

გასული საუკუნის 70-იან წლებში წყალტუბოში „თეთრას“ მღვიმეში ექიმების გადაწყვეტილებით შესაძლებელი იყო ტურისტების მიღება სასუნთქი გზების სამკურნალოდ. მოგახსენებთ, მღვიმის ჰაერი უებარი საშუალებაა ამ მიმართულებით. პეტრე ჭაბუკიანი, რომელიც დროის მნიშვნელოვან ნაწილს მღვიმეში ატარებდა ამბობდა: „მე არასოდეს არ გავცივებულვარ“.

ამჟამად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ყუმისთავის (პრომეთეს) მღვიმის მიდამოებში, საწურბლიას მღვიმეში მოეწყო სპელეოთერაპიის გამაჯანსაღებელი ცენტრი, რომელიც გულისხმობს მღვიმეებში არსებული კლიმატის გამოყენებას სამკურნალო მიზნით.

კურორტები იყო და დღესაც ითვლება იმერეთის ერთ-ერთ წამყვან ტურისტულ რესურსად. მისი საუკეთესო მაგალითია სწორედ კურორტი საირმე, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე. კურორტი წყალტუბო ნაწილობრივ მზად არის უცხოელი ტურისტების მისაღებად, ჩვენს მიერ შექმნილია სარეაბილიტაციო გამაჯანსაღებელი ტური წყალტუბოში, სადაც საკურორტო სამკურნალო მომსახურებასთან ერთად გათვალისწინებულია კულტურული ღონისძიებები. აღნიშნული კურორტები წარდგენილია საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე.

იმერეთს და ქუთაისს განსაკუთრებული როლი ენიჭება ტურიზმის განვითარებაში. ჩვენს რეგიონს აქვს გამანაწილებელი ფუნქცია ტურისტების გადანაწილებასთან დაკავშირებით (შავი ზღვა, მაგისტრალი, დიდი და მცირე კავკასიონი).

მომავალში ჩვენს რეგიონში გაიზრდება ტურისტული ნაკადები, რასაც განაპირობებს კოპიტნარის აეროპორტის გაფართოება (მათ შორის დაბალ ბიუჯეტის ავია-რეისები).

იმერეთის რეგიონს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: ბუნებრივი გარემო, დაცული ტერიტორიები, ნაკრძალები, პარკები, კანიონები, გამოქვაბულები, კურორტები, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და შორს განთქმული სტუმართმასპინძლობის ტრადიციები. რაც მნიშვნელოვანია უნიკალური ტურისტული პროდუქტების ფორმირებისათვის, რომელთა რეალიზაციაც დადებითად იმოქმედებს იმერეთის ეკონომიკის განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტურიზმისა და მასპინძლობის საფუძვლები, მ. მეტრეველი, თბილისი 2017;
2. საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025.

Perspectives of tourism development in Imereti region

Sergo Tsagareishvili

RA Academic Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Mariam Gabunia

Student, Akaki Tsereteli State University, Kutaisi Georgia.

Giga Daraselia

Student, Akaki Tsereteli State University, Kutaisi Georgia.

Abstract

Keywords: Tourism, tour, tourist, hospitality, tradition, resort, economy.

The development of the tourism sector is crucial for the revival of the Georgian economy, as tourism contributes to the development of various sectors.

Unfortunately, the Corona virus pandemic has completely stopped tourism activities. In Georgia, only some hotels are involved in quarantine services.

The pandemic in Georgia is coming to the end and we will soon start accepting foreign tourists. In the current situation, the 2025 task of the tourism development strategy in Georgia comes to the fore, which turns rich natural and cultural resources into a unique world-class tourism product and attracts higher-paying foreign tourists.

Our goal was to create competitive tourism products in the Imereti region to attract high-paying tourists to the international tourism market.

The formation of these tours is a novelty: we present a romantic tour in Kutaisi, where love stories from ancient times to the present are artistically conveyed, in this tour our goal is to present historical events and facts to tourists.

Gastronomic tour in Kutaisi includes tasting of national dishes, traditional hospitality taking into account the Tamad Institute, master classes, cultural events and more.

Wine tour from Baghdad to the village of Obcha goes to several wineries. One of them belongs to the youngest winemaker in Georgia, namely Baia Abuladze. The Abuladze family makes wine from their own vineyards, which is called the best wine in Imereti and causes great excitement among foreign tourists.

Currently, in the vicinity of Kumistavi (Prometheus) Cave in Tskaltubo Municipality, a speleotherapy rehabilitation center has been set up in Satsurbliia Cave, which involves the use of the climate in the caves for healing purposes.

We have created a rehabilitation and health tour in Tskaltubo, where cultural events are planned in addition to spa treatment services. These resorts are represented by us in the international tourism market.

Work on the formation of unique tours continues, which will increase the awareness of our region in the near future.

Imereti region has a great tourist potential: natural environment, protected areas, nature reserves, parks, canyons, caves, resorts, historical and cultural heritage and well-known hospitality traditions. Which is important for the formation of unique tourism products, the sale of which will have a positive impact on the development of Imereti economy.

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი "აგროNews" არის საერთაშორისო სტანდარტის ნომრის მქონე (ISSN 2346-8467) რეცენზირებადი და რეფერირებადი სერიული გამოცემა, რომელიც ბეჭდავს მნიშვნელოვან გამოკვლევათა შედეგებს აგრარულ, ჰუმანიტარულ, ეკონომიკურ, ქიმიურ, საინჟინრო, ტექნოლოგიურ, ბიოლოგიურ და მომსახურების სფეროს მეცნიერებათა დარგებში. ჟურნალი გამოიცემა წელიწადში ერთჯერ. ჟურნალში დაბეჭდილი სტატიები წარმოადგენს საერთაშორისო დონის ნაშრომებს.

ჟურნალის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერებათა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიული გამოქვეყნება.

სტატიები გამოსაქვეყნებლად მიიღება ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენებზე (ავტორის სურვილისამებრ, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე), სტატიის ავტორთა რაოდენობა ხუთს არ უნდა აღემატებოდეს.

სამეცნიერო სტატიების გაფორმება უნდა მოხდეს შემდეგი წესის მიხედვით:

- სტატიის მოცულობა არ უნდა იყოს 3 გვერდზე ნაკლები და 10 გვერდზე მეტი (A4 ფორმატის ქაღალდის 1,15 ინტერვალთა ნაბეჭდი, მინდვრები ზევით 3 სმ, ქვევით – 2,5 სმ, მარცხნივ – 2,5 სმ, მარჯვნივ - 2 სმ, აბზაცი – 1 სმ, გადატანებისა და გვერდების ნუმერაციის გარეშე) ნახაზების, გრაფიკების, ცხრილების, რეზიუმეების და ლიტერატურის ჩამონათვალის ჩათვლით;
 - სტატია შესრულებული უნდა იყოს ტექსტურ რედაქტორ Word-ში;
 - ქართული ტექსტისათვის გამოყენებული უნდა იქნეს შრიფტი – Sylfaen, 11 pt;
 - ინგლისური და რუსული ტექსტისათვის შრიფტი – Times New Roman, 11 pt;
 - სტატიის სათაური 14 pt; Bold;
 - მარცხნივ სტრიქონის გამოტოვებით – ავტორ(ებ)ის სახელი და გვარი 12 pt; Bold;
 - მარცხნივ ქვედა სტრიქონზე - სამეცნიერო ხარისხი, წოდება, სამუშაო ადგილი, ქალაქი, ქვეყანა; 12 pt;
 - ორი სტრიქონის გამოტოვებით - სტატიის ანოტაცია 10 pt; ინტერვალთა 1,0 და დახრილი შრიფტით ნაბეჭდი (არაუმეტეს 500 ნაბეჭდი ნიშნისა, არაუმცირეს 200 ნაბეჭდი ნიშნისა);
 - სტრიქონის გამოტოვებით - საკვანძო სიტყვები (არაუმცირეს 4 სიტყვისა, ქართულად და უცხო ენაზე);
 - სტრიქონის გამოტოვებით – სტატიის შინაარსი;
 - ორი სტრიქონის გამოტოვებით – გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი; (ავტორ(ებ)ის გვარი ინიციალებით - ნაშრომის სათაური - "გამომცემლობა"; ქალაქი; წელი; გვერდების რაოდენობა; ილუსტრაცია);
 - სტრიქონის გამოტოვებით – რეზიუმე (Abstract) ინგლისურ ენაზე, რომელიც უნდა შეადგენდეს სტატიის ნახევარს ქართულ და რუსულ ენოვანი ტექსტებისათვის (სტატიის სათაური 14 pt; Bold ავტორ(ებ)ის სახელი და გვარი 12 pt; Bold; სამეცნიერო ხარისხი, წოდება, სამუშაო ადგილი, ქალაქი, ქვეყანა; 12 pt; ტექსტის შრიფტი 11 pt;);
 - სტატიაში ნახაზები და საილუსტრაციო მასალები ჩასმული უნდა იყოს JPEG ან BMP ფორმატით;
 - მათემატიკური ფორმულები აკრებილი უნდა იყოს რედაქტორ Equation-ის გამოყენებით;
 - ავტორ(ებ)ი პასუხს აგებს სტატიის შინაარსსა და ხარისხზე.
 - ერთი ავტორის მიერ წარმოდგენილი სტატიების რაოდენობა არა უმეტეს 2-ისა;
 - რეცენზირება მოხდება რედკოლეგიის მიერ და გამოქვეყნდება მათივე გადაწყვეტილებით.
- გამოსაქვეყნებელი სტატია რედაქციაში წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული (ნებისმიერ მატარებელზე) სახით.

ჟურნალის ბეჭდვა ხორციელდება ავტორთა ხარჯებით.

სტატიის ერთი გვერდის ღირებულება შეადგენს 7 ლარს. ამ საფასურში შედის ჟურნალის ერთი ეგზემპლარი.

თანხის გადახდა მოხდება "თიბისი" ქუთაისის ფილიალში, ანგარიშზე

GE63TB7524336080100002

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე:

4600, ქუთაისი, შერვაშიძის 53.

მთავარი რედაქტორი: ლორთქიფანიძე როზა

ტელ.: 599 23 64 79; 577 28 28 54

E-mail: subtropikiroza@mail.ru subtropikiroza@yahoo.com

სწავლული მდივანი: ავალიშვილი ნინო

ტელ.: 599 49 09 86; 598 42 41 22

E-mail: ninaval111@mail.ru

ყურადღება!!! გადახდილი ქვითრის ელექტრონული ვერსია იგზავნება სტატიასთან ერთად შემდეგ მისამართზე

E-mail: agronews2016@gmail.com ვებ გვერდი: iaa.com.ge

Requirements !

Journal “agroNews” is an international (ISSN2346-8467) refereed, peer-reviewed periodical publication. Outcomes of recent researches are published in the journal. Fields: Agriculture, Humanities, Economics, Chemistry, Technology, Engineering, Biology and Consumers Services. It is published once a year. Articles published in the journal are internationally recognized. The journal aims at contributing the development of science and promoting scientists of different fields by immediate publication of their researches and recent findings.

Articles will be submitted either in Georgian, Russian or in English (if desired, article can be published in original language), summaries must be in two languages (Russian, English). Number of authors is limited to five.

Length and Substance:

- Number of pages ranges between 3 and 10. (A4 ; 1,0 -spacing, fields: up 3 cm, down _ 2,5 cm, left _ 2,5 cm, right - 2 cm, paragraph _ 1 cm, without numbering pages) Please supply the files with figures, tables, summary, bibliography and the body of article in Word format.
 - Georgian version – Sylfaen, 11 pt;
 - English and Russian versions – Times New Roman, 11 pt;
 - Title 14 pt;
 - After one line – Author (s) full name (s) 12pt ;
 - After one line - Degree and place of work 12 pt;
 - After two lines - Annotation 10 pt; (Number of words limited to 500);
 - After one line – Body of the article;
 - After one line – Bibliography at the end of the article; (author (s) surname (s) with initials – title - “publisher”; city; year; number of pages);
 - After one line – Abstract are required to be in English, 50 % of Georgian or Russian articles. (title of the article 14 pt; Bold; author’s (s) name and surname 12 pt; Bold; academic degree, title, affiliation, city, country 12 pt; font 11 pt);
 - It is recommended that you use JPEG or MBP formats to insert tables, figures.
 - For mathematical formulas use Equation;
 - Author (s) is responsible for the quality of the article.
 - One author can submit no more than two articles;
 - The article will be peer-reviewed and published by editorial board.
- Articles must be submitted both as paper version (one copy) and e-form.

Authors pay for the publication. Value of per page is 7 Gel. One copy of journal is included in the price.

Money Transfer “Tibisi” (TBC) Kutaisi
GE63TB7524336080100002

For further information contact us: 4600, Kutaisi, Shervashidze 53. Akaki Tsereteli State University. XIX . Faculty of Agrarian Studies.

Chief editor: Lortqifanidze Roza

Tel.: 599 23 64 79; 577 28 28 54

Email: subtropikiroza@mail.ru

subtropikiroza@yahoo.com

Scientific secretary : Avalishvili Nino

Tel.: 599 49 09 86; 598 42 41 22

Email: ninaval1111@mail.ru

Attention !!!

E-version of paid check must be attached to the article:

E-mail: agronews2016@gmail.com

веб страница: iaa.com.ge

К вниманию авторов.

Журнал «АгроNews» это серийное издательство, который стандартный номер (ISSN2346-8467) рецензируемое и реферированное издательство. Этот журнал печатает результаты исследований по аграрным, химическим, инженерным и технологическим научным отраслям. Этот журнал издаётся один раз в год. Статьи представленные в журнале представляют – труды международного уровня. Цель журнала – способствовать развитию науки, оперативное издательство достижений специалистов, а так же материалы и результаты исследований. Статьи принимаются на грузинском, английском, русском языках (по усмотрению автора статьи печатаются на оригинальном языке) Количество авторов не должно превышать пяти человек.

Требования к оформлению научных статей:

- * Объём статьи не должно быть меньше 3 страниц и не больше 10 страниц (на бумаге А4 формата, где с интервалом 1,15 поле с верху 3см. снизу 2,5 см., слева 2,5см. справа 2см. абзац 1 см. без нумерации страници и переносов) с учётом чертежей, таблиц, резюме и литературы.
- *Статья должна быть выполнена текстовым редактором Word.
- *Для грузинского текста должно быть использован шрифт - Sylfaen ,11pt.
- *Для английского и русского текста шрифт - Times New Roman ,11 pt.
- * название статьи, 14pt. **Bold.**
- *С пропуском одной строки – имя и фамилия автора (авторов). **Bold.**
- *С пропуском одной строки научные качества и место работы 12pt.
- *С пропуском двух строк – анатомия статьи 10pt (не больше 500 печатных знаков)
- * Спропуском одной строки-содержание статьи.
- *С пропуском одной строки – список использованной литературы, фамилия авторов, названия труда (издательство, город, год, число страниц, иллюстрации).
- *С пропуском одной строки, Резюме (Abstract) на английском языке, что должно составлять половину статьи представленной на грузинском и русском языках (название статьи 14 pt Bold; имя и фамилия автора(ов) 12 pt Bold; научная степень, звание, место работы, город, страна 12 pt, шрифт текста 12 pt);
- *Для чертежей и иллюстраций в статье должен быть использован JPEG или BMP – формат.
- *Математические формулы должны быть использованы Equation редактором.
- *Автор ответственен за содержание и качество статьи.
- *Одним автором должно быть представлено не более 2 статьи.
- *Статья для публикации должна быть представлена на бумаге (один экземпляр) и в любом электронном виде.
- *Выпуск журнала осуществляется за счёт авторов.
- * **Стоимость одной страницы – 7 лари. В эту стоимость входит один экземпляр журнала.**

Денежный перевод осуществляется через кутаисский филиал ТБС банка.

GE63TB7524336080100002

Дополнительно обращайтесь по адресу :

4600,Кутаиси, Шервашидзе 53

Главный редактор: Лорткипанидзе Роза

Тел.:599 23 64 79;577 28 28 54

E-mail:subtropikiroza@mail.ru subtropikiroza@yahoo.com

Учебный Секретарь: Авалишвили Нино

Тел.: 599 49 09 86; 598 42 41 22

E-mail: ninaval 111@mail.ru

Внимание: Оплаченная квитанция отправляется вместе со статьёй

E-mail:agronews2016@gmail.com

web page: iaa.com.ge

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დაკაბადონება
ლევან იობაძე

ქალაქის ზომა 1/8
ნაბეჭდი თაბახი 8
ტირაჟი 40

დაიბეჭდა ი. მ. მარიაშვილი იობაძის მიერ
ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 25-ა
ტელ.: 579 10 13 23; 599 18 20 98; 592 02 25 55
ელ. ფოსტა: levanistamba@mail.ru; levanistamba@rambler.ru